© ProCredit Bank, 05/2024.
All rights reserved

პროკრედიტ ეკო

2023 წლის ზემოქმედების ანგარიში

www.procreditbank.ge

საინფორმაციო ბროშურა, Q2 2024

ჩვენი ზემოქმედების ანგარიში მდგრადი განვითარების ხუთ მიზანს აერთიანებს. ისინი ყველაზე ზუსტად აღწერს პროკრედიტ ბანკის საქმიანობის შედეგებს. ძირითადი აქცენტი შემდეგ ოთხ თემაზე კეთდება:



1. სამუშაო ადგილები და ინვესტიცია: საზოგადოების გაძლიერება, ახალი შესაძლებლობების შექმნა

8 DECENT WORK AND ECONOMIC GROWTH | 9 INDUSTRY, INNOVATION AND INFRASTRUCTURE

- **პოზიტიური ცვლილება:** ჩვენ 4 000-ზე მეტი მიკრო, მცირე და საშუალო ზომის ბიზნესის პარტნიორი ვართ. ეს საწარმოები ადგილობრივი ეკონომიკის ხერხემალს წარმოადგენენ.
- **დეკარბონიზაცია:** ჩვენი პორტფელის 20%-ზე მეტი ენერგოეფექტურობის, განახლებადი ენერგიისა და სხვა გარემოსადმი მეგობრული ინიციატივებისგან შედგება. ბანკის საშუალოვადიანი მიზანი, მაჩვენებლის 25%-მდე გაზრდაა.
- **სუფთა ენერგია:** 859 მეგავატი სიმძლავრის მზის ელექტროსადგურის პროექტი დავაფინანსეთ. აღნიშნული პროექტი ჩვენი ოპერირების ქვეყნებში მდგრადი ენერგიის პოპულარიზებას ემსახურება.
- **გენდერული თანასწორება:** 2X გლობალურ ინიციატივაში ჩართულობით, გავაძლიერეთ ქალების მიერ მართული ბიზნესების მხარდაჭერა. 2023 წელს, მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დაფინანსების 20%-ზე მეტი იმ კომპანიებზე მოდიოდა, რომელთა 50%-ს ან მეტს ქალი მფლობელი ჰყავს.
- **მდგრადი მომწოდებლები:** დეტალურად შევაფასეთ მომწოდებლების 90% ჯგუფის მდგრადობის კრიტერიუმებით და შედეგად,მომწოდებლების 40% თანხვედრაშია მოცემულ კრიტერიუმებთან.

ჩვენმა საკრედიტო პორტფელმა შექმნა **193,344** სამუშაო ადგილი. ამ სამუშაო ადგილების **42%** ქალთა გაძლიერებაზეა ორიენტირებული, **7%** ე.წ "ტვინების გადინებას" ებრძვის

2. მრავალფეროვნება და ინკლუზიურობა: გუნდის გაძლიერება, ინკლუზიის ხელშეწყობა

5 GENDER EQUALITY

გენდერის მიმართულებით, შევადგინეთ ჩვენი პირველი **სამოქმედო გეგმა** ქალთა მხარდაჭერის გასაძლიერებლად.

პროკრედიტის გუნდი ბანკის მდგრადი მიზნების მიღწევის მამოძრავებელი ძალაა:

- ინვესტიცია კადრებში: ჩვენ დაახლოებით 9.4 მილიონი ევროს ინვესტიცია განვახორციელეთ ტრენინგებში, რაც ერთ თანამშრომელზე გაანგარიშებით 114 საათს უდრის
- ქცევის კოდექსის ტრენინგი: 2023 წელს თითოეულმა თანამშრომელმა გაიარა ქცევის კოდექსის ყოვლისმომცველი ტრენინგი, რაც 21,600 საათიან სწავლებას უდრის.
- მრავალფეროვნება და ინკლუზია: 2024 წლიდან იგეგმება რეგულარული ტრენინგები თემაზე "მრავალფეროვნება და ინკლუზია"
- 81 000-ზე მეტ ქალს შევუწყეთ ხელი დასაქმებაში, ჩვენი მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნეს კლიენტების მიერ სამუშაო ადგილების შექმნით.

3. დეკარბონიზაცია: ვიწყებთ საკუთარი საქმიანობიდან

7 AFFORDABLE AND CLEAN ENERGY

- **მზის ელექტროსადგურის პროექტი ProEnergy:** სადგური ყოველწლიურად **3,711 მეგავატსაათ** ენერგიას გამოიმუშავებს, რაც დაახლოებით **500 ოჯახის** მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ექვივალენტურია.
- **სუფთა ენერგიის გამოყენება:** პროკრედიტ ჯგუფის ცხრა ბანკმა ოფისის სახურავზე საკუთარი მზის ელექტრო სადგურები განათავსა, რომელთა სიმძლავრეც **466 კვტ-ია**.
- **ელექტრომანქანები:** ამჟამად, ჩვენი ავტოპარკის **61% ჰიბრიდული ავტომანქანებისა და ელექტრომანქანებისგან შედგება** (წინა წლის მაჩვენები 52%-ია).
- **EDGE მწვანე შენობის სერტიფიკატი:** პროკრედიტ ბანკი უკრაინის სათავო ოფისს კიევში EDGE მწვანე შენობის სერთიფიკატი მიენიჭა. ამ მიღწევით, საერთაშორისო სერტიფიკატის მფლობელი პროკრედიტ ბანკის სათავო ოფისების რაოდენობა ექვსამდე გაიზარდა.
- **ნულოვანი ნარჩენები:** ვინარჩუნებთ ქაღალდისა და ელექტრონული ნარჩენების გადამუშავების **100%-იან მაჩვენებელს**.

კოსოვოში ჩვენი საკუთარი მზის ელექტროსადგური **ProEnergy** ამოქმედდა.

4. კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებები

13 CLIMATE ACTION

ჩვენ დავადასტურეთ STBi-სთან ნულოვანი ემისიების მიღწევასთან დაკავშირებული ჯგუფის უახლოესი მიზნები. კერძოდ:

- **2030 წლისთვის ჩვენი მიზანია** (1-ლი და მე-2 კატეგორიის) ემისიების 42%-ით შემცირება (საბაზისო წელი 2022) **განახლებადი ენერგიისა და ელექტრო მანქანების მოხმარების გაზრდით**
- **დეკარბონიზაცია:** 2027 წლისთვის მიზნად ვისახავთ, **მიკრო, მცირე და საშუალო ზომის ბიზნეს კლიენტების, რომლებზეც** ჯგუფის პორტფელის ემისიების 28% მოდის, ჩართულობის გაზრდა სოფლის მეურნეობისა და წარმოების სექტორებში. გარდა ამისა, ვიღებთ ვალდებულებას, გავაგრძელოთ მხოლოდ ისეთი ენერგო პროექტების დაფინანსება, რომლებიც განახლებადი ენერგიის გამოყენებას გულისხმობს.

ჯგუფის მასშტაბით დაფინანსებული ენერგო პროექტების სრულ უმრავლესობას წარმოადგენს **ინვესტიციები განახლებად ენერგიებში.**

პროკრედიტ ბანკი საქართველო

1. სამუშაო ადგილები და ინვესტიცია:

- **დეკარბონიზაცია:** 2023 წელს პროკრედიტ ბანკი საქართველოს სასესხო პორტფელის 14 % მიმართული იყო ენერგოეფექტური, განახლებადი ენერგიის და გარემოსადმი მეგობრული ინვესტიციების დასაფინანსებლად. ბანკის საშუალო-ვადიანს მიზანს აღნიშნული მაჩვენებლის 18 %-მდე გაზრდა წარმოადგენს.
- **სუფთა ენერგია:** 2023 წელს ბანკის მხარდაჭერით, 28 მომხმარებელმა განახორციელა მზის ელექტროსადგურის პროექტი, ჯამური სიმძლავრით 7 მგვტ.
- **გენდერული თანასწორობა:** პროკრედიტ ბანკი, როგორც ევროპული ფინანსური ინსტიტუტი, სრულად იზიარებს ეკონომიკაში ქალის როლის გაძლიერების და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდის მნიშვნელოვნებას.
- EBRD-თან თანამშრომლობის ფარგლებში ბანკი ქალი მეწარმეების ზრდისა და განვითარების ახალ შესაძლებლობას ქმნის. სერვისი მალე გახდება ხელმისაწვდომი კომპანიების ქალი მმართველებისთვის.
- **მდგრადი მომწოდებლები:** ჩვენი სერვისებისა და პროდუქტების მომწოდებლები კომპანიების 67% მდგრადია.

2. მრავალფეროვნება და ინკლუზიურობა:

პროკრედიტ ბანკში ხელს ვუწყობთ მრავალფეროვნებას და ინკლუზიას. ვართ სამართლიანები კლიენტებსა და თანამშრომლებთან დამოკიდებულებაში და ვემიჯნებით დისკრიმინაციის და შევიწროვების ნებისმიერ ფორმას.

გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად, ორგანიზაციის შიგნით დანერგილია შესაბამისი პოლიტიკა და მიდგომები. მნიშვნელოვანი დრო და ინვესტიცია იდება, ამ მიმართულებით ორგანიზებულ ტრენინგებში.

- **ინვესტიცია თანამშრომლებში:** 2023 წელს თანამშრომლების ტრენინგებში 9.4 მლნ ევროს ინვესტიცია განხორციელდა, რომელიც 114 საათს უდრის 1 თანამშრომელზე გაანგარიშებით
- **მრავალფეროვნება და ინკლუზია:** გარემოსდაცვითი საკითხები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია იმ ტრენინგებისა, რომლებიც პერიოდულად უტარდებათ პროკრედიტ ბანკის თანამშრომლებს ადგილობრივ და რეგიონალურ დონეზე. 2024 წელს გარემოსდაცვით საკითხებთან ერთად ტრენინგები იგეგმება გენდერული თანასწორობის თემაზე "მრავალფეროვნება და ინკლუზია".

3. დეკარბონიზაცია:

- **მწვანე ავტოპარკი:** ჩვენი ავტოპარკის 100% ელექტრომობილებისგან შედგება. 2023 წელს ელექტრომობილებით გადაადგილების შედეგად დაახლოებით 18 400 კგ CO_2 გამოყოფა ავირიდეთ.

  2023 წლის მონაცემებით საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოვაწყვეთ ელექტრომობილების 27 დამტენი პუნქტი; 2024 წელს ამ ციფრის 33-მდე გაზრდას ვგეგმავთ.
- **განახლებადი ენერგიის მოხმარება:** 2023 წელს, ბანკის საკუთარმა მზის სადგურმა 116 000 კვტ/სთ-ზე მეტი ელექტროენერგია გამოიმუშავა, შედეგად, 9.6 ტონა CO_2 გამოყოფა ავირიდეთ და სათაო ოფისის ელექტროენერგიის მოხმარების 10.6% სუფთა ენერგიით ჩანაცვლება შევძელით.
- **ნარჩენების მართვა:** 2023 წელს, პროკრედიტ ბანკმა ნარჩენების მართვის კომპანიას 2472 კგ ქაღალდი და მუყაო, 31 კგ ელექტრონული ნარჩენი და 290 კგ მინის ნარჩენი გადასცა გადასამუშავებლად

4. კლიმატის ცვლილებების საწინააღმდეგო ქმედებები:

პროკრედიტ ბანკი საქართველო იზიარებს პროკრედიტ ჰოლდინგის ხედვას ნულოვანი ემისიის მიზნების მიღწევასთან დაკავშირებით და ჯგუფის სამომავლო გეგმებთან თანხვედრაში ყოფნას, კლიმატის ცვლილებების საწინააღმდეგო ქმედებებით გეგმავს

- **მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირების პროექტი** - თანამშრომლებისთვის ტრანსპორტის ხარჯების სუბსიდირებით, ბანკის მიზანს საწვავზე მომუშავე სატრანსპორტო საშუალებების ჩანაცვლება, მუნიციპალური ტრანსპორტის წახალისება და შედეგად სათბური აირების შემცირება წარმოადგენს.
- **განახლებადი ენერგიის ათვისება** - ბანკი განახლებადი ენერგიის წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის წილის გაზრდას გეგმავს, როგორც საკუთარი ოპერირების ეტაპზე, ასევე კლიენტების დაფინანსების მიმართულებით
- **საინფორმაციო/საგანმანათლებლო სემინარები** - თანამშრომლების, კლიენტების და ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით და ამ მიმართულებით შესაბამისი ტრენინგების ორგანიზება, კვლავ რჩება ბანკის პრიორიტეტად საშუალოვადიან პერიოდში.